სამართალი

ყოველკვირეული საგაზეთო ჩანართი

7 თებერვალი, 2011 წელი, №47

მოსამართლეებმა სკოლის მოსწავლეებს მასპინძლეს

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა. სასამართლოს შენობის დათვალიერების შემდეგ დამამთავრებელი კლასის 50-მდე მოსწავლე მოსამართლეებს შეხვდა. ბავშვების შეკითხვებს უშუალოდ სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლეები პასუხობდნენ,

2

სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ ლილი ს.-ს სამოქალაქო სარჩელის განხილვა დაასრულა. სასამართლომ განიხილა მოსარჩელე ლილი ს.-ს სასარჩელო განცხადება, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნია, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს

3

გრძელვადიანი პაემანი პატიმრებისთვის

ახალ "პატიმრობის კოდექსში" უახლოეს პერიოდში ცვლილება შევა, რომელიც პატიმრებისთვის განკუთვნილ გრძელვადიანი პაემნებს შეეხება. საქართველოს ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, გრძელვადიანი პაემნებისთვის ინფრასტრუქტურის მშენებლობა 2012 წლის ივნისში დასრულდება და ყველა პირობა შეიქმნება იმისთვის, რომ პატიმარმა და მისმა სტუმარმა თავი კომფორტულად იგრძნონ.

4

მასმედია და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

უზენაესი სასამართლოს ინიციატივით, გუდაურში ორდღიანი ტრენინგი ჩატარდა, რომლის მიზანიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესების გაშუქების სპეციფიკის გაცნობა და ამ სფეროში ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილების გაზიარება იყო.

ტრენინგის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჟურნალისტებმა, მოსამართლეებმა, ადვოკატებმა, პროკურორებმა, უზენაესი სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეს-სამსახურების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

სემინარში ასევე, მონაწილეობდნენ გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე ინიტა პაოლოვიჩა, დევიდ დევილერსი - საქართველოში აშშ-ს საელჩოს იუსტიციის დეპარტამენტის სამართლებრივი მრჩეველი, ფრანკლინის სამოქალაქო სასამართლოს მოსამართლე დანიელ ჰოგანი, "ემის" ჯილდოს მფლობელი ტელეჟურნალისტი გეილ ჰოგანი, სასამართლოს რეპორტიორი და მასმედიის სფეროს სპეციალისტი კევინ მეიჰუდი და დარონალდ ა. ვულსონი - საქართველოში აშშ-ს საელჩოს სისხლის სამართლის საკანონმდებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

ტრენინგი საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე ზაზა მეიშვილმა გახსნა. მონაწილეებს სიტყვით მიმართეს საქართველოში გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელის მოადგილე ინიტა პაულოვიჩამ და საქართველოში აშშ-ს საელჩოს იუსტიციის დეპარტამენტის სამართლებრივმა მრჩეველმა დევიდ დევილერსმა.

ტრენინგის ძირითადი მიზანი ქართული მხარისთვის ამერიკული გამოცდილების გაზიარება გახლდათ, რაც ამერიკელმა ექსპერტებმა წარმატებით განახორციელეს.

ფრანკლინის სასამართლოს მოსამართლე დანიელ ჰოგანმა ტრენინგის მონაწილეებს გააცნო ამერიკის შეერთებული

გაგრძელება მე-3 გვერდზე

პრობლემები, რომელიც ჯარიმის გადაუხდელობას მოყვება

თამარ გურული

საქართველოში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების ძალიან დიდ რაოდენობა, ჯერ კიდევ მოსახლეობის დაბალი საკანონმდებლო განათლებით აიხსნება. კიდევ უფრო სავალალოა ის, რომ არ არსებობს კანონის აღსრულების კულტურაც, რის გამოც, დაჯარიმებულ ადამიანებს მნიშვნელოვანი პრობლემები ექმნებათ. არადა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, მკაცრად არის განსაზღრული ნებისმიერი ჯარიმის აღსრულების ვადები, წესები და მათი აღუსრულებლობით გამოწვეული სანქციებიც.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმების ყველაზე დიდი რაოდენობა სატრანსპორტო საშუალებებთან არის დაკავშირებული. როგორც სტატისტიკით ირკვევა, ამ მიმართულებით დაჯარიმებულთა უმეტესობაც სწორედ ავტოსაგზაო წესების დამრღვევნი არიან. კანონის არ ცოდნის თუ დაუდევრობის გამო, მათი დიდი ნაწილი კანონის აღსრულების დამრღვევიც ხდება, რაც მძღოლებს არა მარტო ფინანსურ, არამედ კიდევ უფრო რთულ პრობლემებს უქმნის.

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლით, კანონის დამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის ჩაბარებიდან, ხოლო ადგილზე დაჯარიმების შემთხვევაში - საჯარიმო ქვითრის მისთვის ჩაბარებიდან 30 დღეში.

ამ კოდექსის 118-ე მუხლის - "იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო პერიოდული ტესტირება (გამოცდა) დადგენილი წესით, ან სხვა პირისათვის ასეთი ავტოსატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა", 119-ე - "სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევა", 120-ე - "სატრანსპორტო საშუალებაზე სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე, სანათი ან ხმოვანი ხელსაწყოს დაყენების წესების დარღვევა ან მისი არადანიშნულებით გამოყენება", 123-ე - "საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის მიტოვება ან სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ პოლიციელის მოთხოვნის შეუსრულებლობა," 125-ე - "სატრანსპორტო საშუალების

გაგრძელება მე-4 გვერდზე

Vox Populi

შეკითხვები "სამართალს"

რუბრიკა Vox populi სისტემატურად შემოგთავაზებთ მკითხველთა წერილებს, მოსაზრებებს და შეკითხვებს. ამჯერად, "სამართალი" პასუხებს გასცემს კანონმდებლობის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებს.

რამაზ ცხვარიაშვილი, 47 წლის:

- იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო პროცესზე გამოკვლევის სტადიაზეა ისეთი საკითხები, რომლებაც შესაძლოა ცუდი ზეგავლენა მოახდინოს არასრულწლოვან ბრალდებულზე, შეიძლება თუ არა, რომ არასრულწლოვანი არ დაასწრონ ამ სხდომას და საერთოდ, დახურულად უნდა ჩატარდეს თუ არა არასრულწლოვანის სასამართლო პროცესი?

- ახალი საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით გამოიტანოს განჩინება არასრულწლოვანი ბრალდებულის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის შესახებ, რათა მის დაუსწრებლად გამოიკვლიოს ისეთი მტკიცებულებები, რომლებმაც, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა მოახდინოს მასზე.

არასრულწლოვნის სასამართლო სხდომის დარბაზში დაბრუნების შემდეგ სასამართლო საჭირო მოცულობითა და ფორმით აცნობს მას მისი არყოფნისას გამოკვლეულ მტკიცებულებათა შინაარსს.

სასამართლო სხდომა, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებული ესწრება, დახურულად უნდა ჩატარდეს. არასრულწლოვანი ბრალდებულის მშობელს, კანონიერ წარმომადგენელს ან ახლო ნათესავს, ასევე პედაგოგს, უფლება აქვთ, დაესწრონ სასამართლო სხდომას ან საპროცესო მოქმედებას, რომელშიც არასრულწლოვანი მონაწილეობს.

თეიმურაზ გეგენავა, 50 წლის:

- ამოცნობის დროს, შეიძლება ამოსაცნობ პირთან ერთად წარდგენილები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ამოსაცნობისგან გარეგნული მონაცემებით? როგორ ხდება იგივე პროცედურა, როდესაც რაიმე ნივთია ამოსაცნობი და რა შემთხვევაში ტარდება ამოცნობა მხოლოდ ფოტოსურათით? როდის შეიძლება ჩაითვალოს ჩატარებული ამოცნობა დაუშვებელ მტკიცებულებად?

- ამომცნობს ამოსაცნობი პირი უნდა წარედგინოს იმავე სქესის არანაკლებ ორ პირთან ერთად. ეს პირები გარეგნობით და ტანსაცმლით მკვეთრად არ უნდა განსხვავდებოდნენ არც ერთმანეთისგან და არც ამოსაცნობი პირისგან.

ამოსაცნობი ობიექტის შემთხვევაში კი ამომცნობს ამოსაცნობი ობიექტი უნდა წარედგინოს არანაკლებ 2 სხვა ერთგვაროვან საგანთან ერთად. ამომცნობს უნდა შესთავაზონ, მიუთითოს ობიექტი, რომლის ამოცნობაც მან შეძლო. ობიეტის ამომცნობმა უნდა განმარტოს, რა ნიშან-თვისებებით ამოიცნო იგი.

თუ ამომცნობისთვის ამოსაცნობი ობიექტის წარდგენა შეუძლებელია, ამ შემთხვევაში, ამოცნობა შეიძლება ჩატარდეს ფოტოსურათით. ასეთ დროს ამომცნობს უნდა წარედგინოს არანაკლებ სამი სხვა ფოტოსურათი. ამ ფოტოსურათებზე აღბეჭდილი ობიექტებიც მკვეთრად არ უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან და ამოსაცნობი ობიექტისგან. ფოტოსურათების ამოსაცნობად წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფორმითაც. ჩატარებული ამოცნობა დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა გამოცხადდეს იმ შემთხვევაში, თუ ამომცნობი მიუთითებს ისეთ ნიშან-თვისებებზე, რომლებიც საკმარისი არ არის ამოსაცნობი ობიექტის იდენტიფიკაციისათვის.

მართლმსაჯულება

მოსამართლეებმა სკოლის მოსწავლეებს მასპინძლეს

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა. სასამართლოს შენობის დათვალიერების შემდეგ დამამთავრებელი კლასის 50-მდე მოსწავლე მოსამართლეებს შეხვდა. ბავშვების შეკითხვებს უშუალოდ სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლეები პასუხობდნენ, რომლებიც ცდილობდნენ მოზარდებისთვის გასაგებ ენაზე გაეცათ პასუხები სასამართლოს როლისა და ფუნქციის, დანაშაულის სპეციფიკის და სასჯელის სახეების შესახებ.

შეხვედრის დასრულების შემდგომ ბავშვებმა მოსამართლეებთან ერთად სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს. ბავშვებს ასევე საჩუქრად გადაეცათ წიგნი "ბავშვი და სამართალი".

მცხეთის სასამართლოში მსგავსი შეხვედრები ყოველკვირეულად მოეწყობა. სასამართლოს თავმჯდომარის ინიციატივით, კვირაში ერთხელ, ქალაქ მცხეთისა და მიმდინარე რაიონების სკოლის მოსწავლეები სასამართლოს ეწვევიან, მათ მასპინძლობას მოსამართლეები გაუწევენ.

ანალოგიური შეხვედრები იგეგმება გორის რაიონულ სასამართლოშიც.

სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრების ტრადიცია უკვე არსებობს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, თბილისის, ქუთაისის და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

მიმდინარე წელს პროექტში საქართველოს ყველა დიდი რაიონული სასამართლო ჩაერთვება.

მემორანდუმი სასამართლოსა და უნივერსიტეტს შორის

თბილისის საქალაქო სასამართლოსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ხელშეკრულებას ხელი თბილისის საქალაქო სასამართლოს თავჯდომარე მამია ფხაკაძემ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა არჩილ ფრანგიშვილმა მოაწერეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ბაზაზე და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანადგომით, ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები თვეში ერთხელ ლექცია-სიმინარებს ჩაატარებენ. პროექტის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან სასამართლო სისტემას, ასევე, მოხდება მათი სრული ინფორმირება მოქმედ კანონმდებლობასა და მათთვის საინტერესო სამათლებრივ საკითხებზე. მომავალ იურისტებს საშუალება მიეცემათ კვირაში ერთხელ, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესებს დაესწრონ.

პროექტის დასრულების შემდეგ, ჩატარდება სტუდენტური ოლიამპიადა და გაიმართება იმიტირებული სასამართლო პროცესები.

ზემოაღნიშნული პრიექტის ხანგრძლივობა 12 თვეს შეადგენს, მასში დაახლოებით 50 ახალგაზრდა მიიღებს მონაწილეობას და მოიცავს, როგორც ადმინისტრაციულ ასევე სამოქალაქო და სისხლის სამართლის სფეროებს. პროექტის უმთავრეს მიზანს სტუდენტთა სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლებაზე ზრუნვა და საბოლოოდ კანონმორჩილი საზოგადოების ჩამოყალიბება წარმოადგენს.

ხელმოწერის ცერემონია თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა.

"უფროსი მეგობარი"

იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გაერო-ს ასოციაციასთან ერთად დაიწყო ახალი პროგრამის - "ჩემი უფროსი მეგობარი" განხორციელება. პროგრამა მიზნად ისახავს კანონთან პრობლემების მქონე არასრულწლოვნებზე ზრუნვას.

პროგრამის მიზანია, უფროსი მეგობრის დახმარებით, არასრულწლოვანს გამოუმუშავდეს საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა, აუმაღლდეს უფროსებისადმი ნდობა, გახდეს ბეჯითი, კონტაქტური, უფროსი მეგობრისგან ისწავლოს როგორ მიაღწიოს წარმატებებს.

მეგობარს მოზარდი სურვილის მიხედვით ირჩევს და კანდიდატის თანხმობის შემთხვევაში, უფროს მეგობარსა და არასრულწლოვანს შორის ურთიერთობა ერთი წელი გრძელდება.

უფროსი მეგობრის პროგრამაში მონაწილეობის მსურველები შემდეგ პროცედურებს გადიან: პროგრამის ინიციატორები უზრუნველყოფენ არასრულწლოვანის, მისი ოჯახის წევრებისა და ზრდასრული მონაწილის პირველ შეხვედრას და აცნობენ პროგრამის წესებს. ამ შეხვედრაზე მხარეები სურვილისამებრ ხელს აწერენ ხელშეკრულებას.

უფროსი მეგობრისა და მოზარდის ურთიერთობა, მათთვის სასურველ და კომფორტულ პირობებში მიმდინარეობს - მათ შეუძლიათ ერთად მიიღონ მონაწილეობა პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა სპორტულ თუ გასართობ ღონისძიებაში. უფროსი მეგობარი ყოველთვიურად გარკვეულ დროს უთმობს თავის უმცროს მეგობარს, ეხმარება მოზარდს გაკვეთილების მომზადებაში, აძლევს რჩევა-დარიგებებს. თვის ბოლოს ორივე მეგობარი ავსებს ანგარიშს და უგზავნის პროგრამის თანამშრომელს, რომელიც მეთვალყურეობს არასრულწლოვანისა და მისი უფროსი მეგობრის ურთიერთობას.

კანონმდებლობა

მასმედია და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

პირველი გვერდიდან

შტატების ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მუშაობის ძირითადი პრინციპები. მოხსენების ძირითადი დრო კი, ამერიკელმა მოსამართლემ სამართლიანი სასამართლოსა და თავისუფალი სიტყვის ძირითად პრინციპებს შორის ბალანსის დაცვის თემაზე საუბარს დაუთმო.

აშშ-ში არსებული პრაქტიკა, როგორ აშუქებენ ჟურნალისტები ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესს, რა უნდა გააშუქოს და რა არა ტელერეპორტიორმა, რამდენად ხელმისაწვდომია საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია ჟურნალისტებისთვის, რა არის დასაშვები და დაუშვებელი მასმედიის წარმომადგენლებთან ურთიერთობის დროს, - ამ თემაზე ტრენინგის მონაწილეებს "ემის» ჯილდოს მფლობელმა ტელეჟურნალისტმა სასამართლო რეპორტიორმა გეილ ჰოგანმა ესაუბრა.

როგორ აშუქებს ბეჭდური მედია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, სასამართლოს, სამართალდამცველებისა და მხარეების მიერ დაწესებული შეზღუდვების: ნაფიცი მსაჯულების ვინაობის გამჟღავნება, სასამართლო განხილვასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ინტერვიუს ჩაწერა ნაფიც მსაჯულებთან, მხარეებთან, მოსამართლესთან, ბრალდებულთან ან მოწმესთან, - ამ თემებთან დაკავშირებით ამერიკული პრაქტიკა დამსწრეებს გააცნო სასამართლოს რეპორტიორმა და მასმედიის სფეროს სპეციალისტმა კევინ მეიჰუდიმ.

სამ ჯგუფად დაყოფილმა სემინარის მონაწილეებმა განიხილეს "X კლანის საქმე" - ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული პროცესი, ცნობილი განგსტერული დაჯგუფებისა და მისი მეთაურის რონალდ დოსენის საქმე. თითოეული ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა: მოსამართლე, ჟურნალ-გაზეთის რეპორტიორი, ტელე-რეპორტიორი, ადვოკატი და პროკურორი. თითოეულმა ჯგუფმა ანგარიშის პრეზენტაციაზე, ამერიკელი ექსპერტების მიერ შეთავაზებული რეალური მაგალითით იმსჯელა, თუ როგორ შეარულებდნენ პროფესიულ მოვალეობას ისე, რომ არ დარღვეულიყო ბალანსი სამართლიან სასამართლოსა და სიტყვის თავისუფლებას შორის.

"ჩვენ გამოვიარეთ დიდი გზა, რათა შეგხვედროდით და ჩვენი გამოცდილება გაგვეზიარებინა თქვენთვის. ძალზე კმაყოფილებიი ვართ, ვფიქრობთ, რომ ტრენინგი ძალზე შედეგიანი იყო. ჩვენ შემოგყურებთ, როგორც პატარა ბავშვებს, რომელიც ახლა სწავლობს სიარულს და გვჯერა, რომ ეს ინსტიტუტი საქართველოში საკმაოდ წარმატებულად ამუშავდება,» - ასეთი იყო ამერიკელ ექსპერტთა გამოსამშვიდობებელი სიტყვა.

ტრენინგი გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) და საქართველოში ამერიკის საელჩოს იუსტიციის დეპარტამენტის ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა. სემინარის ორგანიზატორებმა ტრენინგის მონაწილეებს სერთიფიკატები გადასცეს.

სასამართლო დარბაზი

სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ ლილი ს.-ს სამოქალაქო სარჩელის განხილვა დაასრულა.

მოსარჩელე ლილი ს.-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა სარჩელით და მოპასუხეს მის სასარგებლოდ სესხის კერძოდ, 4500 ევროს გადახდა მოსთხოვა.

მოქალაქე ლილი ს.-ს განმარტებით, მან მარინა ნ.-ს სესხის სახით 4500 ევრო გადასცა. აღნიშნულის თაობაზე, მოსარჩელესა და მარინა ნ-ს შორის დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, მოპასუხემ აღიარა, რომ მოსარჩელის მიმართ გააჩნდა 4500 ევროს ოდენობის ვალი და ეს თანხა მას 2009 წლის 12 ივლისს უნდა დაებრუნებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მარინა ნ.-ს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ძირითადი თანხის 0.3 პროცენტის ოდენობით.

სასამართლომ განიხილა მოსარჩელე ლილი ს.-ს სასარჩელო განცხადება, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნია, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს და მოპასუხეს უნდა დაეკისროს ლილი ს.-ს მიმართ 4500 ევროს გადახდა. მარინა ნ.-ს ასევე დაეკისრა პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაცილებიდან, კერძოდ, 2009 წლის 12 ივლისიდან, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად ძირითადი ვალის 4500 ევროს 0,2 პროცენტის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 14 დღის ვადაში, დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან.

Vox Populi

ეთერ გიორგობიანი,
38 წლის

- უნდა დაუბრუნდეს თუ არა ამოღებული საგანი ან დოკუმენტი მფლობელს იმ შემთხვევაში, თუკი მხარე ამოღებულ საგანს, ნივიერებას ან დოკუმენტს სასამართლოში მტკიცებულებად არ წარადგენს?

- თუკი ამოღებულ საგანს, დოკუმენტს, ნივთიერებას თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტს მხარე სასამართლოში მტკიცებულებად არ წარადგენას, იგი, როგორც წესი, უბრუნდება იმ პირს, რომლისგანაც ამოიღეს.

ზურაბ მეგრელიშვილი,
47 წლის:

- შეიძლება თუ არა ერთდროულად რამდენიმე ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება? რა შემთხვევაშია აკრძალული ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება? ვინ იღებს გადაწყვეტილებას ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე?

- კანონმდებლობის თანახმად, დასაშვებია რამდენიმე ფარული საგამოძიებო მოქმედების ერთდროულად ჩატარება. თუმცა, აკრძალულია, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება საზოგადოებრივი, პოლიტიკური, სამეცნიერო, საგანმანათლებლო ან რელიგიური ორგანიზაციის, მასმედიის, გამომცემლობის მიმართ, თუ იგი მიზნად არ ისახავს საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობას ან ძალადობით შეცვლას, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფას, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას ან თუ ეს ორგანიზაცია არ ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, არ აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას, ძირითად შემთხვევებში, იღებს პროკურორი.

ელენე გოცირიძე,
43 წლის:

- ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინებაში უნდა იყოს თუ არა მითითებული, საგამოძიებო მოქმედების საშუალება და ხერხი?

- ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ განჩინებაში მითითებული უნდა იყოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფარგლები, პირობები, ადგილი, ობიექტი, საშუალება, ხერხი (მათ შორის, ტექნიკური), ვადა, განჩინების აღმასრულებელი პირი (ორგანო) და სხვა საჭირო ინფორმაცია. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ განჩინება საჯაროდ არ ცხადდება.

ვასილ გუგუშვილი,
62 წლის?

- რა ფორმით წყდება ნივთიერი მტკიცებულებების გამო წარმოებული დავა?

- დავა ნივთიერი მტკიცებულების გამო წყდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ასეთი დავის შემთხვევაში, ნივთიერი მტკიცებულება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ინახება სისხლის სამართლის საქმესთან ერთად.

ნივთიერი მტკიცებულების გაფუჭების, დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში, მისი მესაკუთრე ან მფლობელი იღებს ფულად კომპენსაციას. ეს წესი არ ვრცელდება იმ ქონებაზე, რომელიც ექვემდებარება საპროცესო კონფისკაციას, განადგურებას და საპროცესო ხარჯების ანაზღაურებას.

კანონმდებლობა

პრობლემები, რომელიც ჯარიმის გადაუხდელობას მოყვება

პირველი გვერდიდან

მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა" და 127-ე მუხლის - "საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის გადაზიდვისა და ავტოსადგურის მუშაობის წესების დარღვევა," - ამ მუხლების დამრღვევი 30 დღის განმავლობაში თუ არ გადაიხდის ჯარიმას, ხოლო შემდეგ დაკისრებულ საურავს (ჯარიმის და საურავის ოდენობა კოდექსით ყველა მუხლზე სხვადახვა ოდენობით არის განსაზღრული), მას გარკვეული ვადით, უმეტეს შემთხვევაში, 1 წლით ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. თუმცა, ამ დარღვევების შემთხვევაში, ჯარიმის და საურავის გადახდის შემდეგ, მძღოლი თუ ისურვებს ხელახლა მართვის მოწმობის აღებას, მისთვის სავალდებულო არ იქნება მოწმობის ასაღებად აუცილებელი გამოცდის ხელახლა ჩაბარება. რასაც ვერ ვიტყვით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 116-ე მუხლის - "სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ანდა სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის" და 117-ე მუხლის - "ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისათვის თავის არიდება" - დარღვევის შემთხვევებზე.

116-ე მუხლით, სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში 150 ლარით ჯარიმდება, სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა ნასვამი პირისთვის კი 170 ლარით. ერთი წლის განმავლობაში, ამ დარღვევების განმეორებით გამოვლენისთვის გათვალისწინებულია 300-ლარიანი ჯარიმა. თუ მფლობელმა მანქანა ათხოვა პირს, რომელსაც არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის, იგი დაჯარიმდება 250 ლარით.

ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება ისჯება სამი წლით მართვის უფლების ჩამორთმევით. სხვათა შორის, კანონით, ამ შემთხვევაში თუ დამრღვევი ნებაყოფლობით ანაზღაურებს ზარალს და თუ დაზარალებულმა არ გაასაჩივრა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, საქმის განმხილველ ორგანოს შეუძლია სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა შეცვალოს 500-ლარიანი ჯარიმით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით, თუ პატრულის თანამშრომელი 116-ე მუხლის დარღვევისთვის მძღოლს ერთი წლის განმავლობაში განმეორებით დააჯარიმებს, მაგრამ იგი არ გადაიხდის ჯარიმას, ხოლო შემდეგ არ გადაიხდის ამ ჯარიმის გადაუხდელობისთვის დაკისრებულ საურავს (ამ მუხლებზე კანონით დადგენილია 500-ლარიანი საურავი), მას ჯარიმა შეეცვლება და 2 წლით ჩამოეთმევა მართვეის მოწმობა. დაწესებული სანქციის ვადის ამოწურვის შემდეგ კი, თუ მძღოლს სურვილი ექმენა ხელახლა აიღოს მართვის მოწმობა, იგი ვალდებულია ხელახლა გაიაროს მართვის უფლების მისაღების სპეციალური გამოცდა, თუმცა, გამოცდაზე იგი საურავის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე არ დაიშვება. გამოცდის ხელახლა ჩაბარება მოუწევს 117-ე მუხლის დამრღვევესაც.

იმ შემთხვევაში, თუ დაჯარიმებული პირი ნებაყოფლობით არ გადაიხდის დაკისებულ ჯარიმას და მასზე დამატებულ საურავს, ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი კანონის იძულებით აღსრულებას ითვალისწინებს. კერძოდ, თუ პირი კანონით დადგენილ ვადაში არ გადაიხდის ჯარიმას და საურავს, მაშინ მას დადგენილი თანხა დაექვითება ხელფასიდან, პენსიიდან, სტიპენდიიდან ან სხვა შემოსავლიდან. ეს პროცესი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით რეგულირდება. ხოლო, თუ დაჯარიმებული პირი არ მუშაობს ან დამრღვევის ხელფასიდან, პენსიიდან, სტიპენდიიდან ან სხვა შემოსავლიდან ჯარიმის გადახდა შეუძლებელია (ანუ, თუ ჯარიმა და საურავი აღემატება დაჯარიმებულის შემოსავალს), შესაბამისი ორგანოს დადგენილების საფუძველზე, ჯარიმის გადახდა მოხდება დამრღვევის პირად ქონებიდან ან საერთო საკუთრებაში არსებული მისი წილიდან. ამას უკვე აღმასრულებლი მოახდენს. პირს ჯარიმა არ შეიძლება გადაახდევინონ ისეთი ქონებიდან, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სააღსრულებო დოკუმენტებით არ არის განსაზღვრული.

თუ ადმინისტრაციულსამართალდარღვევათა კოდექსის დამრღვევი არის თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე ასაკის და მას არ აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი, კანონით ჯარიმის გადახდა მოუწევთ მის მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის დადებული ჯარიმის თანხა დამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად. კანონი კრძალავს თანამდებობის პირების მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდას საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ანგარიშზე.

გრძელვადიანი პაემანი პატიმრებისთვის

ხათუნა ბარათაშვილი

ახალ "პატიმრობის კოდექსში" უახლოეს პერიოდში ცვლილება შევა, რომელიც პატიმრებისთვის განკუთვნილ გრძელვადიანი პაემნებს შეეხება. საქართველოს ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, გრძელვადიანი პაემნებისთვის ინფრასტრუქტურის მშენებლობა 2012 წლის ივნისში დასრულდება და ყველა პირობა შეიქმნება იმისთვის, რომ პატიმარმა და მისმა სტუმარმა თავი კომფორტულად იგრძნონ.

კოდექსში შესატანი ცვლილების თანახმად, ახლობლებთან გრძელვადიანი შეხვედრის უფლება არასრულწლოვნების გარდა, სხვა პატიმრებსაც ექნებათ. გრძელვადიანი პაემნით ისარგებლებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი ნებისმიერ პირი, რომელიც წესრიგს არ არღვევს და დაწესებულების შინაგანაწესს იცავს.

კანონში შესატანი ცვლილების მიხედვით, გრძელვადიანი პაემნით ისარგებლებენ უვადო პატიმრობამისჯილი მსჯავრდებულებიც. გრძელვადიანი პაემნის საფასური, სავარაუდოდ, 60 ლარი იქნება.

პატიმრებს გრძელვადიანი პაემნებით სარგებლობა წელიწადში ორჯერ, ხოლო წახალისების მიზნით - სამჯერ შეეძლებათ. რაც შეეხება არასრულწლოვან პატიმრებს, მათ სამი ხანგრძლივი პაემნის უფლება ექნებათ, წახალისების მიზნით კი - ოთხის. პატიმრებს, რომლებიც საკარანტინო რეჟიმში იმყოფებიან ან სადისციპლინო და ადმინსტრაციული სასჯელი აქვთ დაკისრებული, გრძელვადიანი პაემნის უფლება არ მიეცემათ.

თავდაპირველად, გრძელვადიანი პაემნები დაინერგება არასრულწლოვანთა მე-11 კოლონიაში და რუსთავის მე-6 და მე-16 დაწესებულებებში.

ამჟამად მოქმედი პატიმრობის კოედექსით, ახლო ნათესავების წრე ასე განისაზღვრება: შვილი, მეუღლე, მშობელი, მშვილებელი, ნაშვილები და მისი შთამომავალი, შვილიშვილი, და, ძმა, დისშვილი, ძმისწული და მისი შვილები, ბებია და პაპა, ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა, ბიძა, დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი და მამიდაშვილი. ასევე, ის პირი, რომელთანაც პატიმარი ცხოვრობდა და ეწეოდა საერთო მეურნეობას პატიმრობამდე ბოლო ორი წლის განმავლობაში.

აღნიშნულ პირებთან შეხვედრაზე პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის თანხმობა, ან მოტივირებული უარი ბრალდებულს და მსჯავრდებულს წერილობით ეცნობება. პატიმრის ურთიერთობის კონტროლი უნდა განხორციელდეს მისი პატივისა და ღირსების შეულახავად. შეხვედრა ხორციელდება მხოლოდ ბრალდებულისა და მსაჯვრებულის თანხმობის შემთხვევაში.

პაემნის თაობაზე ადმინისტრაცია 5 დღით ადრე წერილობით უნდა იყოს ინფორმირებული. პაემანზე მიმსვლელმა მნახველმა პირმა ადმინისტრაციას უნდა წარუდგინოს ახლო ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

"პატიმრობის კოდექსის" თანახმად, ადმინისტრაციამ პაემნის მოთხოვნაზე განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღეში უნდა უზრუნველყოს პაემნის ორგანიზება. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს უარის თქმის მოტივირებული საფუძველი, რის თაობაზეც, განმცხადებელი ინფორმირებული უნდა იყოს იმავე დღეს..

სასამართლო ქრონიკა

სასამართლომ მსჯავრდებული დარბაზიდან გაათავისუფლა

თბილისი საქალაქო სასამართლომ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაში ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

გამოძიების ინფორმაციით, იასონ მ.-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ბელგიური წარმოების, ქარხნული წესით დამზადებული 6,35 მმ კალიბრის «ბარუნინგის» კონსტრუქციის (ე. წ. ჯიბის მოდელის) პისტოლეტი, რომელსაც საკუთარ სახლში, საწერი მაგიდის ერთ-ერთ უჯრაში უკანონოდ ინახავდა.

თბილისი საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურის ინფორმაციით, იასონ მ.-მ როგორც წინასწარ გამოძიებაში, ასევე სასამართლო სხდომაზე გულწრფელად აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული.

საქმის მასალებსა და უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, თბილისის საქალაქო სასამართლომ, მიიღო გადაწყვეტილება საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე და მსჯავრდებულ იასონ მ.-ს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, სასჯელის სახედ და ზომად 2 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, რაც ჩაეთვალა პირობითად, 3 წლის გამოსაცდელი ვადით, მასვე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით. მსჯავრდებული იასონ მ. სასამართლო სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა ლევან ტ.-ს მიმართ, რომელსაც ბრალად განზრახ მკვლელობის მცდელობა ედებოდა.

საქმის მასალების მიხედვით, გიორგი ტ. მეგობრებთან - ჯემალ ქ.-სთან, ერეკლე ბ.-სთან და გიორგი ზ.-სთან ერთად თბილისში, ყაზბეგის გამზირზე მდებარე საჯარო სკოლის სკვერში საერთო მეგობარის - ლაშა მ.-ს დაბადების დღეს აღნიშნავდა. გარკვეული დროის შემდეგ ისინი, ნასვამ მდგომარეობაში ც. დადიანის გამზირზე მათი საერთო ნაცნობის ლევან ა.-ს სანახავად წავიდნენ. მეგობრებს მასთან ძველი, პირადი ანგარიშსწორება ჰქონდათ. დაახლოებით 22:30 საათზე ისინი ც. დადიანის გამზირზე N73 კორპუსთან მივიდნენ. გიორგი ტ.-მ და ერეკლე ბ.-მ იქვე მყოფ მათთვის უცნობ ლევან ტ.-ს, ლაშა დ.-ს და ნუგზარ ჭ.-ს ჰკითხეს - იცნობდნენ თუ არა ისინი ლევან ა.-ს. უარის მიღების შემდეგ გიორგი ტ.-მ, ერეკლე ბ.-მ, და ჯემალ ქ.-მ უცნობ ახალგაზრდებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, რაც შემდგომ ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. ჩხუბის დროს ლევან ტ.-მ განზრახ მოკვლის მიზნით, გიორგი ტ.-ს ბასრი საგნის გამოყენებით მუცლის არეში სიცოცხლისთვის საშიში ჭრილობა მიაყენა. გიორგი ტ.-ს მხოლოდ გადაუდებელი სამედიცინო ჩარევის შედეგად შეუნარჩუნდა სიცოცხლე.

წინასწარი გამოძიების დასრულების შემდეგ საქმე განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეცა.

სასამართლო სხდომაზე დადგენდა, რომ განსასჯელი სრულად აცნობიერებდა და აღიარებდა დანაშაულს, რომლის ჩადენაშიც მას დაედო ბრალი. გარდა აღიარებითი ჩვენებისა ლევან ტ.-ს ბრალეულობა დადასტურდა შემდეგი მტკიცებულებებით: მონმეთა და დაზარალებულის ჩვენებებით, ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით და საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით.

სასამართლომ სასჯელის შერჩევისას გაითვალისწინა, ლევან ტ.-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ყველა გარემოება, ასევე ის გარემოება, რომ დანაშაულს გააჩნია საზოგადოებრივი საშიშროების მაღალი ხარისხი და ბრალდებულ ლევან ტ.-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19. 108-ე მუხლით და ამავე კოდექსის 55-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩედენისთვის სასჯელის სახედ და ზომად 3 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

საგამომცემლო ჯგუფი:
მარიამ ბერიშვილი
ხათუნა ბარათაშვილი
თამარ გურული
ტელ: 899 97 72 12
899 43 74 03.
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com